

შეთანხმება

საქართველოს მთავრობასა და შპს „ფშავი ჰიდროს“ შორის 2015 წლის 16 ნოემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში („მემორანდუმი“) ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

27 ივნისი, 2016 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომ „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, კახა კალაძის სახით

და

მეორე მხრივ, შპს „ფშავი ჰიდრო“, საიდენტიფიკაციო კოდი: 405026234 (შემდგომ „კომპანია“), წარმოდგენილი დირექტორის, ზაზა არდიშვილის სახით

შემდგომ მთავრობა და კომპანია ერთობლივად იწოდებიან როგორც „მხარეები“ და ცალ-ცალკე როგორც „მხარე“.

მხარეები თანხმდებიან შეიტანონ მემორანდუმში შემდეგი სახის ცვლილებები

1. შეიცვალოს მემორანდუმის დანართი N2 და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმებაზე თანდართული დანართის N1 სახით.
2. კომპანია ვალდებულია წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს მემორანდუმის საფუძველზე წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის (133,000.00 აშშ დოლარი) მოქმედების ვადის გაგრძელება არანაკლებ 5 თვით და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა მთავრობისთვის.
3. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე შეთანხმების მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლები ძალაში შედის შეთანხმების ხელმოწერის დღიდან, ხოლო სხვა მუხლები ძალაში შევა კომპანიის მიერ ამ შეთანხმების მე-2 მუხლით გათვალისწინებული პირობის შესრულების შემდგომ.
4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
5. ამ შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მხარეებს ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

შპს „ფშავი ჰიდრო“

ზაზა არდიშვილი

დანართი N1

დანართი N2

სამშენებლო ფაზა

დასაწყისი

მშენებლობის ნებართვის
საფუძველზე მშენებლობის
დაწყების თარიღი - არაუგვიანეს
2016 წლის 1 აგვისტო

დასასრული

ექსპლუატაციაში მიღება

მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი

15 თვე მემორანდუმის ხელმოწერიდან

სკურდიდი ჰესის მშენებლობისა და სამონტაჟო სამუშაოების დეტალური ვადები

N	სამუშაოს დასახელება															
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
1.	საინჟინრო სამუშაოები															
1.1	პროექტის ფინალური კვლევისათვის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება															
1.2	საინჟინრო და საკონსულტაციო მომსახურებები მშენებლობის განმავლობაში															
2.	მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები															
2.1	ობიექტის მშენებლობა															
2.2	გზების, ხიდის მშენებლობა და კეთილმოწყობის სამუშაოები															
3.	სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები															
3.1	სადაწნეო მისადენის შენებლობა (გაცვანა+გამაგრება+ბეტონის სამუშაოები)															
3.2	სამშენებლო სამუშაოები დერივაციამდე, დერივაციაზე, კაშხალზე															
3.3	კაშხლის ტანის შენებლობა															
3.4	წყალსაშვების მშენებლობა															
3.5	სარქველის ოთახი და სადაწნეო მილები (მოიცავს ჰიდრომექანიკას															
3.6	ჰესის და ქვესადგურის მოწყობილობები															
3.7	წყალგამყვანი არხი															
4.	საექსპლუატაციო სამუშაოები															
4.1	ტესტირება															
4.2	ექსპლუატაციაში მიღების სამუშაოები და ოპერირების დაწყება															

გ. აქოფ




საქართველოს მთავრობის ბანკარგულება

№1109 2016 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობასა და შპს „ფშავი ჰიდროს“ შორის 2015 წლის
16 ნოემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში
ცვლილების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „ფშავი ჰიდროს“ შორის დასადები შეთანხმება, საქართველოს მთავრობასა და შპს „ფშავი ჰიდროს“ შორის 2015 წლის 16 ნოემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე.
2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვიციანი

N 2/06



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010110056173816

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასალი ქ. 24 ა. ტელ.: 2 40-51-46, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-46, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№2258

07 / აპრილი / 2016 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2016 წლის 4 აპრილის №04/1252 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას და მას „ფშპი პიდროს“ შიშის 2015 წლის 16 ნოემბერს დადებულ ერთიერთაგებმის მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმების პროექტი და გაცნობები, რომ მასთან დაკავშირებით სამართლებრივი ბასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

გ. ლომთაძე

მინისტრის მოადგილე

გონა ლომთაძე



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16054054, 28/03/2016 17:17:54

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს ფშავი ჰიდრო
სამართლებრივი ფორმა: შებდუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405026234
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 17/01/2014
მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ., V კვ., კორპ. 4, ბინა 58
დამატებითი ინფორმაცია:
ელ. ფოსტა: fshavihydro@yahoo.com
 დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

- დირექტორი - 01008038047, ზაზა არდიშვილი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
01008038047, ზაზა არდიშვილი	25.0000000000%	
01023004375, ,, რაული ქურდაძე, რუსეთის ფედერაცია, საქართველო	75.0000000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

შოდრავ ნივთებსა და არაშატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის შიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge